ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6585157

ნომერი: AR1979990

თარიღი : 25.07.2023

გაცემის თარიღი : 27.07.2023

გაცნობის თარიღი : 27.07.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა, N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი შარაშიძე პ/ნ 01009004220
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. კორ. 6 ბ. 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6519752 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 25 ივლისს №AR1979990 განცხადებით მომართა ირაკლი შარაშიძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 20

ივნისის №6519752 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6412925 ბრძანებით №01.14.06.006.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 11 აპრილიდან 2024 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. ამავე ბრძანებით დამკვეთს დაევალა წინამდებარე ბრძანების გაცემიდან 61 (სამოცდაერთი) სამუშაო დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 08 დეკემბრის №22.1853.2017 განკარგულებისა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 31 აგვისტოს №61-01222431554 წერილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ამასთან, განემარტა, რომ დადგენილ ვადაში პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბრძანება ჩაითვლება ძალადაკარგულად მისი გაცემის დღიდან.
სამსახურის 2023 წლის 25 აპრილის №6430602 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6412925 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და საერთო ფართობად დაფიქსირდა 14733.6 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 2224.8 კვ.მ. ამასთან, შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები, ასევე, ჭრილები და ფასადები ჩანაცვლდა 2023 წლის 21 აპრილს №AR1962025 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმებით, ჭრილებით და ფასადებით.
ამასთან, სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6519752 ბრძანებით შესრულებულად ჩაითვალა სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6412925 ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობა.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6519752 ბრძანებაში ცვლილების შეტანას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად 2105.4 კვ.მ-ის ნაცვლად 2224.8 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 14614.2 კვ.მ-ის ნაცვლად 14733.6 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: №882023620259; მომზადების თარიღი: 15/06/2023 წ.) №01.14.06.006.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ფილიგრინი“ (ს/ნ: 405498929). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს „ფილიგრინი“-ს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შორენა დარჩიაშვილი. ხოლო, მის მიერ 2023 წლის 24 ივლისს გაცემული №230996568 მინდობილობით დგინდება განმცხადებლის - ირაკლი შარაშიძის უფლებამოსილება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი საზაფხულო და საერთო ფართობები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 25 აპრილის №6430602 ბრძანების გათვალისწინებით, შესაძლებელია ცვლილება შევიდეს სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6519752 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6519752 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6519752 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 2224.8 კვ.მ., საერთო ფართობად - 14733.6 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6519752 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6412925, 2023 წლის 25 აპრილის №6430602 და 2023 წლის 20 ივნისის №6519752 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.